მონიტორინგის შედეგად მინიჭებული/განსაზღვრული უფლებამოსილება		მონიტორინგის შედეგების დასკვნითი შეფასების აღწერილობა	საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის	
			უფლებამოსილება	შეზღუდვა
სავალდებულო	სდპ აუდიტის უფლებამოსილება	**აღნიშნული შეფასება ენიჭება**, როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გაივლის მონიტორინგს შენიშვნების გარეშე ან კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით აღმოჩნდება ნაკლებად არსებითი არასისტემური (იზოლირებული) ან/და სისტემური ხარვეზები; ან/და არსებითი არასისტემური (იზოლირებული) და მცირერიცხოვანი ხარვეზები; ან/და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISQM) შესაბამისობის კუთხით აღმოჩნდება მხოლოდ უმნიშვნელო შენიშვნები. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code).	სდპ I II III IV	არა
	სავალდებულო აუდიტის (გარდა სდპ-ისა) უფლებამოსილება	**აღნიშნული შეფასება განისაზღვრება,** როდესაც კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით აღმოჩნდება არსებითი არასისტემური (იზოლირებული) ან/და სისტემური ხარვეზები; ან/და მცირერიცხოვანი მნიშვნელოვნად არსებითი სისტემური ან/და არასისტემური (იზოლირებული) ხარვეზები; ან/და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISQM) შესაბამისობის კუთხით აღმოჩნდება უმნიშვნელო ან/და მნიშვნელოვანი და მცირერიცხოვანი შენიშვნები. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code).	I II III IV	სდპ
არასავალდებულო		**აღნიშნული შეფასება განისაზღვრება,** როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვერ დააკმაყოფილებს სავალდებულო აუდიტის უფლებამოსილებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code).	III IV	სდპ I II

გასათვალისწინებელი:

*თუ ჯგუფში შემავალი მშობელი ან/და შვილობილი საწარმო არის სდპ, მაშინ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი უნდა განხორციელდეს სდპ-ს აუდიტის უფლებამოსილების მქონე აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ.

*თუ სუბიექტის/ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით არის მოთხოვნილი, მაშინ აუდიტი უნდა განხორციელდეს სავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მქონე სავალდებულო აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ.